შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№17(9.927)

30 მაისი-6 ივნისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

რას ეძებს რუსეთი ლუგარის ცენტრში?

ბიოლოგიური იარაღის დამზადება, საშიში ვირუსების გავრცელება, სახიფათო მწერების დივერსიული მიზნებით გამოყენება და ხალხის მოწამვლა – ამ ყველაფერს, უკვე წლებია, რუსეთის ხელისუფლება და მისი მედია თბილისში ამერიკელების მიერ აშენებულ ლუგარის ლაბორატორიას აბრალებს.

ყველა ამ ინფორმაციას რომ დავუჯეროთ, საქართველოში ცოცხალი უკვე აღარავინ უნდა იყოს. რუსეთის ხელისუფლებასა და მის მაამებელ მედიასაშუალებებს, რომლებიც რესპონდენტებად ძირითადად კომიკურ პერსონაჟებს იყენებენ, არაფრით უნდათ იმის დაჯერება, რომ ლუგარის ლაბორატორია მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებს ემსახურება. რუსეთის პროპაგანდა არ ცხრება მიუხედავად იმისა, რომ ლუგარის ლაბორატორიაში სხვადასხვა დროს არაერთ რუს მეცნიერსაც უმუშავია და მოსკოვმა სხვა გზებითაც კარგად იცის, რომ ამერიკელი და ქართველი სპეციალისტები ამ ცენტრში ადამიანისა და ცხოველის დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმების აღმოჩენას, ამოცნობასა და ეპიდემიებთან ბრძოლის ეფექტიანი გზების დასახვას ემსახურებიან. ამ ლაბორატორიამ დიდი როლი შეასრულა ახალი კორონავირუსული პანდემიის გავრცელების დროს. საქართველოს ხელისუფლებისა და მედიკოსების ერთობლივი წარმატებული შეკავების პოლიტიკის პარალელურად, ლუგარის ცენტრში ჩატარებულმა გამოკვლევებმა და კოვიდ-19 შემთხვევების დროულმა გამოვლენამ, ქვეყანას ახალი კორონავირუსის გავრცელება თავიდან ააცილა.

რუსეთი საქართველოს ლუგარის ლაბორატორიის გამო თავს კიდევ ერთხელ ესხმის. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოსთან დააყენა ორი პირობა, **ერთი - ლუგარში რუსი ექსპერტების დაშვება და მეორე - რუსეთმა გამოთქვა მზადყოფნა, საქართველოს საზღვრის გასწვრივ 10 კილომეტრიან ზონაში სადამკვირვებლო მისია დაუშვას, თუ თბილისი მოსკოვს საკუთარ ტერიტორიაზე ფრენის ნებას მისცემს.** საუბარია სადამკვირვებლო ფრენებზე. პარალელურად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს „ღია ცის“ შეთანხმების დარღვევაშიც ადანაშაულებს და საქართველოს პოზიციას დესტრუქციულს უწოდებს. 26 მაისს გავრცელებულ განცხადებაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თქვა, რომ ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენციასთან ლუგარის ცენტრის შესაბამისობის საკითხი „კითხვებს ბადებს“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ იმის გამო გააკრიტიკა, რომ ისინი „არ განმარტავენ, თუ რა საქმიანობას ეწევა ლაბორატორია რუსეთის საზღვრებთან ახლოს“. ოფიციალური მოსკოვი ლუგარის ცენტრში - რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საკუთრებაა და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მართავს - რუსი სპეციალისტების დაშვებას მოითხოვს. მოსკოვის განცხადებით, ლუგარის ცენტრს რუსი ექსპერტები მხოლოდ იმ პირობით ესტუმრებიან, თუ მათ წვდომა ლაბორატორიის ყველა შენობაზე, „მათ შორის, ამერიკელი სპეციალისტების მიერ დაკავებულ სივრცეებზეც“ ექნებათ. ოფიციალური მოსკოვი ასევე განმარტავს, რომ რუსეთი „ყველა კითხვაზე პასუხის მისაღებად“ აშშ-ისა და საქართველოს ხელისუფლებასთან მუშაობას კვლავაც განაგრძობს. უწყებას უკვე გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც აცხადებს, რომ წლების განმავლობაში, რუსეთი სისტემატურად არღვევს „ღია ცის“ ხელშეკრულებას და ცდილობს ის გამოიყენოს ოკუპირებული რეგიონების უკანონო აღიარებისთვის. ლუგარის ლაბორატორიას რაც შეეხება, რუსეთის ბრალდებები საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ არაერთხელ უარყო. ცენტრის წინააღმდეგ განცხადებებს 1 მაისს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც გამოეხმაურა და თქვა, რომ **„ლაბორატორიაზე თავდასხმა და ყალბი ინფორმაციის გავრცელება აღიქმება, როგორც საქართველოსა და მისი მიღწევების დისკრედიტაციის მცდელობა“**.

დაავადებათა კონტროლის ცენტრმა 2018 წელს აღნიშნა, რომ ლუგარის ცენტრი, რომელსაც სრულად საქართველოს მთავრობა მართავს და აფინანსებს, გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ვალდებულებებს გაეროს კონვენციების შესაბამისად ასრულებს. ბიოლოგიური იარაღის კონვენციის შესაბამისად (რომელსაც საქართველო 1996 წელს შეუერთდა) საქართველოს ხელისუფლებამ ლაბორატორიაში საერთაშორისო შემოწმება 2018 წლის ნოემბერში ჩაატარა, რომელსაც 17 ქვეყნიდან მოწვეულ ექსპერტთა და დამკვირვებელთა 22-კაციანი ჯგუფი დაესწრო. მაშინ რუსეთმა ამ პროცესს „პროპაგანდისტული“ უწოდა და შემოწმებაში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვა. **„ჩამობრძანდით, ნახეთ როგორ ვმუშაობთ,“** - ეს კი ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის მოწოდებაა, რომელიც მან რუსეთის საგარეო უწყების საპასუხოდ განაცხადა. მისი თქმით, სპეკულაციურ აზრებს საფუძვლად უდევს პოლიტიკური სარჩული, რაც საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებულ პარტნიორობას უკავშირდება”.

„დიახ, ჩვენი ქვეყნის მთავარი პარტნიორია აშშ და კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ამერიკის მთავრობას, რომ ასეთი უზარმაზარი დახმარება გაუწია ქვეყანას. არ მინდა, ამაზე ღია ეთერში საუბარი, იცით ხომ რა ვითარებაა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში და იგივე იმ ქვეყანაში, რომელიც ლუგართან დაკავშირებით ბრალს გვდებს. რუსეთი მესამეა დაავადების გავრცელების თვალსაზრისით. პირიქით, ჩამობრძანდით, ნახეთ როგორ ვმუშაობთ. ჩვენ მათ რამდენჯერმე შევთავაზეთ საერთო თემატიკაზე მუშაობა, ნამყოფი არიან მათი ჟურნალისტები, გადაღებული აქვთ ლუგარის ცენტრის ყველა ლაბორატორია, დამალული არაფერია. ჩვენ ვართ ძალიან გამჭვირვალე”, - აღნიშნა გამყრელიძემ.

„ლუგარის ლაბორატორიაზე ეს ახალი და პირველი არ არის. მოგეხსენებათ, რომ პერიოდულად ახსენდებათ ხოლმე ეს თემა და რაღაც თემების გადასაფარად იყენებენ ხოლმე. ასე რომ, ჩვენ მიჩვეული ვართ ამას. როცა მოვიწვიეთ, მაშინ არ მოვიდნენ. შემდეგშიც იყო ამაზე საუბარი. რამდენი ხანი შეიძლება ერთი და იგივეს ლაპარაკი?“- განაცხადა პაატა იმნაძემ.

/გაგრძელება. გვ.2 /

რა იქნება შემდგომი ანტიკრიზისული გეგმა?

„ახლა უკვე ვფიქრობთ შემდგომი ანტიკრიზისული გეგმა რა იქნება და ალბათ ეს იქნება ჯანდაცვა, იმიტომ რომ ჯანდაცვის სისტემაც არის ის სისტემა, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება," - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ დეველოპერული სექტორის ანტიკროზისული გეგმის წარდგენისას განაცხადა. მისივე თქმით, წარმოდგენილი გეგმა ოპტიმალურია.

„ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. საკმაოდ მოკლე დროში ვიმუშავეთ და მივიღეთ ის შედეგი, რომელიც მივიღეთ. შეიძლება ეს არაა იდეალური, მაგრამ ჩვენი ეკონომიკისთვის, ჩვენი განვითარების დონისთვის ეს არის ყველაზე ოპტიმალური ნაბიჯი, რომელიც მაქსიმალურად მოიცავს ყველა სოციალურ ჯგუფს,"- აღნიშნა გახარიამ.

გიორგი გახარია – სსიპ-ების და აიპ-ების ნაწილში ხალხის რაოდენობა პრობლემაა,ეფექტურობა გასაზრდელია,ხელფასებიც გასაზრდელია და ხალხის რაოდენობაც შესამცირებელია

„ბიუროკრატიული ხარჯების შემდგომი შემცირება ქვეყანაში კონტრპროდუქტიული იქნება," - ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ დეპუტატების შეკითხვას ბიუროკატიულ ხარჯებთან დაკავშირებით. როგორც მან აღნიშნა, საქართველო ბიუროკრატიული ხარჯების სიმცირით მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

„სისტემურად დღეს ეს ქვეყანაში პრობლემა არ არის. მარტივი საკითხია, რეალურად ბიუროკრატიული ხარჯების შემდგომი შემცირება ქვეყანაში იქნება კონტრპროდუქტიული. ასე გიპასუხებთ, სსიპ-ების და აიპ-ების ნაწილში ხალხის რაოდენობა პრობლემაა, რა თქმა უნდა, ეფექტურობა გასაზრდელია, ხელფასებიც გასაზრდელია და ხალხის რაოდენობაც შესამცირებელია", - განაცხადა გახარიამ.

ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან , დავით ფხოველიშვილთან ერთად სოფელ ოზაანში სკოლასთან და ეკლესიასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში მოეწყო ბეტონის კიუეტები, ხოლო ასფალტის საფარის დაგება დასკვნით ეტაპზეა.პროექტის ღირებულება 472 491 ლარს შეადგენს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილიშვილთან ერთად ქ. დედოფლისწყაროში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებიც დაათვალიერა. **ამ ეტაპზე ქ. დედოფლისწყაროში 10 ქუჩის საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.** პროექტების დასრულების შემდეგ ქ. დედოფლისწყაროში ყველა ქუჩის გზა სრულად იქნება აღდგენილი .

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა დაიწყო

20 მაისიდან დაიწყო და მიმდინარეობს აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება. **„აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა შეუფერხებლად მიმდინარეობს. დღეის მდგომარეობით, პროგრამით უკვე 12,000-ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფასდაკლების ბარათებით ფერმერებმა 100,000 ლიტრზე მეტი აგროდიზელი მიიღეს და 70,000 ლარზე მეტი დაზოგეს"**, - განაცხადა ილია თამარაშვილმა.

კომპანიის „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" დირექტორის, ლევან გიორგაძის განცხადებით, კახეთის რეგიონში მოქმედ 10 ავტოგასამართ სადგურზე ფერმერები აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათით შეუფერხებლად სარგებლობენ. ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, დიზელის შეღავათიან ფასად მიღებას შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვარისა, ან პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას. პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალიწინებულია 1 ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15,000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გაცემა. პირველ ეტაპზე, 20 მაისიდან ფასდაკლების ბარათები გაიცემა ფიზიკურ პირებზე, ხოლო 1 ივნისიდან - მიწის თანამესაკუთრეებსა და იურიდიულ პირებზე. ბარათების გაცემა მოხდება პროგრამის ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ხოლო თანამესაკუთრეების შემთხვევაში, დამატებით შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე. პროგრამით 200,000-ზე მეტი ფერმერი ისარგებლებს.

პირველ ივლისამდე, ფასდაკლების ბარათით შესაძლებელია არაუმეტეს 50 ლიტრის ოდენობის საწვავის შეძენა, 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე - არაუმეტეს 300 ლიტრის, ხოლო 1 სექტემბრიდან, შესაძლებელია ნებისმიერი ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათების განაღდება.

რას ეძებს რუსეთი ლუგარის ცენტრში?

/დასაწყისი. გვ.1/

კითხვაზე, თანახმა არიან თუ არა რუსი ექსპერტების ჩამოსვლაზე იმისთვის, რომ ესტუმრონ ლუგარის ლაბორატორიას, იმნაძე ამბობს, რომ „ყველაფერი მოლაპარაკების საგანია". ამირან გამყრელიძე კი აცხადებს, რომ **„30 წელია, რაც საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და რუსეთი და მოსკოვი აღარ არის ჩვენი ბრძანებელი. ეს როგორმე ჩვენმა რუსმა კოლეგებმა უნდა გაითავისონ და შეეგუონ ამ აზრს. რას ნიშნავს, ჩამოვლენ და ყველა კუთხე კუნჭულში შევლენ, ისე ჩამოვა აქ რუსი, როგორც ჩამოვა სხვა ერის წარმომადგენელი ლუგარის ლაბორატორიაში. რამოდენიმეჯერ მოვიწვიეთ ხო რუსები, სხვებთან ერთად, არ დავუშვებთ, რომ ჩამოვიდეს მხოლოდ რუსეთის დელეგაცია, ჩვენ მათ ვთავაზობთ, რომ ჩამოვიდნენ საერთაშორისო დელეგაციის შემადგენლობით. 2018 წელს შევთავაზეთ და უარი თქვეს"** , განაცხადა ამირან გამყრელიძემ. **„ახლა მითუმეტეს, როცა ძალიან ბევრმა სკეპტიკოსმა ჩვენს ქვეყანაშიც დაინახა ლაბორატორიის როლი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას ქვეყნის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისთვის. შესაბამისად, უცებ გააქტიურდა ეს თემა"**, - თქვა პაატა იმნაძემ.

რუსეთის განცხადებას ასევე პოლიტიკური შეფასებებიც მოჰყვა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **მამუკა მდინარაძის** განცხადებით, ეს საქართველოს წარმატებით გამოწვეული რეაქციაა, რაც „ოკუპანტ ქვეყანას ხშირად ჩვევია" „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი წევრი **სერგი კაპანაძის** თქმით კი რუსეთი კორონავირუსთან ბრძოლას თავს ველარ ართმევს, ამიტომაც მტრის ხატის შექმნას ცდილობს. **„ეს არის კლასიკური, მავნებლური კრემლის პროპაგანდა...რუსეთში კორონავირუსით დაავადებული ადამიანების რაოდენობა დრამატულად გაიზარდა და როგორც ჩანს, დაიწყეს მტრების ძებნა. ბევრჯერ მიგვიღია სტუმრები რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან და ისინი ყველანი კარგად არიან ინფორმირებული იმაზე, რეალურად რა ხდება ლუგარში"**, - განაცხადა სერგი კაპანაძემ. იმავე აზრზეა „ნაციონალური მოძრაობის" წევრი **სალომე სამადაშვილიც**. პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამ საკითხზე პოზიციების შენარჩუნება ჩვენი ქვეყნისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. **„ვერანაირ დათმობაზე საქართველო ვერ წავა, რადგან ეს ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებზე, მათზე ჩვენი სუვერენული უფლების დათმობას. ასევე, არღვევს იმ ხელშეკრულების პირობებს, რომელიც გაფორმდა 2008 წელს", -** ამბობს სალომე სამადაშვილი, რომლის თქმით, ეს არის პრინციპული საკითხი და რუსეთმა ძალიან კარგად იცის ეს.

რა კეთდება ამერიკელების აშენებულ ლუგარის ლაბორატორიაში ?

შიშის მომგვრელია, წარმოიდგინო თავი სივრცეში, სადაც მრავალნაირი ვირუსი და ბაქტერია გეგულება - მიკროორგანიზმები, რომლებიც, სხვადასხვა გრიპის გარდა, იწვევენ, მაგალითად, შავ ჭირს, ჯილეხს, ტულარემიას, ბრუცელოზს, წითელასა თუ ბოტულიზმს. მაგრამ აქ, ლუგარის ცენტრში, მიკროორგანიზმები ადამიანების ჯანმრთელობას ემსახურებიან.

„იმისთვის გვჭირდება ეს კოლექცია, რომ ვიცოდეთ, საქართველოში რა მიკრობებია და თუ გაჩნდება რამე ახალი მიკრობი, შევადაროთ იმას, რაც ჩვენს კოლექციაში არის და ვნახოთ, ეს ჩვენია, ადგილობრივია, თუ ეს შემოტანილია და უნდა გამოვიკვლიოთ, როგორ შემოვიდა - ხელოვნური ხომ არ იყო, თუ ბუნებრივად შემოვიდა. ამის დადგენა დღეს ჩვენ შეგვიძლია", - ამბობს ლუგარის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პაატა იმნაძე - დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NDC) დირექტორის მოადგილე. სწორედ ლუგარის ლაბორატორიაში აზუსტებენ, კონკრეტულად რა შტამის ვირუსი ცირკულირებს საქართველოში. სწორედ აქ ამოიცნეს თავის დროზე ღორის გრიპად წოდებული H1N1-იც.

ლუგარის ლაბორატორიაში განმარტავენ, რომ ყველაფერი მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. აქ ტარდება დიაგნოსტიკური კვლევები და მათ შორის - C ჰეპატიტის სწრაფი ტესტით დადგენილი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით. შესაბამისად, ლუგარის ცენტრს დიდი როლი ეკისრება C ჰეპატიტის აღმოფხვრის საქართველოში მიმდინარე მასშტაბური პროექტის ფარგლებში.

ლუგარის ცენტრში, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პარტნიორია, სასწავლო მიზნებით ხშირად იყრიან თავს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები, მათი პედაგოგები, მეცნიერები და აქაურობას არც ცნობისმოყვარე დამთვალიერებელი აკლია. ცხადია, ლაბორატორიებში ყველას ვერ შეუშვებენ, მაგრამ ისედაც კარგად ჩანს ყველაფერი, რაც შუშის კარ-ფანჯრების მიღმა ხდება.

ინგა შიოლაშვილი

სტუმრად გმირების ოჯახებთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ სამრეკლოსა და ზემო ქედს ეწვია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილი გიორგი აბიათარისა და გოჩა ილურიძის მშობლებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

გმირების ოჯახებს ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სიმბოლურად ეროვნული დროშები გადასცა და გმირი შვილების აღზრდისათვის მადლობა გადაუხადა.

„თუ საქართველო თავისუფალია , ეს სწორედ გოჩას, გიორგის და იმ ახალგაზრდების დამსახურებაა, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაინანეს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და ერთიანობისათვის. ამიტომაც უდიდეს მადლობას გეუბნებით ამ გმირი ბიჭების აღზრდისთვის და მჯერა, რომ ჩვენი სამშობლო ძალიან მალე გამთლიანდება“- აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, 26 მაისთან დაკავშირებით, 1993-2008 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილთა ოჯახებს 1000-1000 ლარი გადაეცათ.

საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას 11 პატრიოტი დედოფლისწყაროელის სიცოცხლე შეეწირა. 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ქ.დედოფლისწყაროს ცენტრალურ ქუჩაზე საქართველოს ეროვნული დროშები გამოიფინა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს და გისურვებთ თავისუფალ და გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრებას.



ასეულობით ექსპონატი მხარეთმცოდნეობის მუზეუმს

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს კვლევით ცენტრში დაცული ისტორიული მნიშვნელობის ასეულობით ექსპონატი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს გადაეცემა. ეს გადაწყვეტილება არქეოლოგსა და ისტორიკოსს, პროფესორ კიაზო ფიცხელაურს ეკუთვნის. ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ცნობილი არქეოლოგი დედოფლისწყაროში მუშაობის გაგრძელებას ვეღარ ახერხებს. სწორედ ამიტომ, მისი სურვილია მრავალწლიანი მუშაობის შედეგი მთლიანად დედოფლისწყაროს გადასცეს. კიაზო ფიცხელაური წლების მანძილზე რამდენიმე არქეოლოგიურ გათხრას ხელმძღვანელობდა ჩვენს რაიონში. სწორედ ფიცხელაურის სახელს უკავშირდება ბოლო ხანს უნიკალური და ყველაზე მასშტაბური „დიდნაურის ნაქალაქარის“ აღმოჩენა, რომელიც ძვ. წ. XII-IX საუკუნეებით თარიღდება და მსოფლიო ისტორიას ცვლის.

ისტორიული მნიშვნელობის არტეფაქტები, რომლებსაც ფიცხელაური გადმოგვცემს, სრულად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი და მათი რესტავრაციის პროცესი სწორედ ილიაუნის დედოფლისწყაროს ფილიალში მიმდინარეობდა. ექსპონატები ბოლო წლებში სწორედ ილიაუნის ფილიალშია გამოფენილი. როგორც კიაზო ფიცხელაური განმარტავს, ისინი რამდენიმე დღეში უსასყიდლოდ გადაეცემა ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრს.

როგორც დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრის დირექტორი ილია მარტყოფლიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში განმარტავს, ექსპონატები მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადაეცემა და დედოფლისწყაროს საგანძური მნიშვნელოვნად გამდიდრდება. მარტყოფლიშვილი ამბობს, რომ მუზეუმში დამატებით ახალი საგამოფენო სივრცე გამოინახა, დარბაზებში სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მათივე შენობაში ორი ახალი კეთილმოწყობილი დარბაზი უახლოეს მომავალში გაიხსნება, ამიტომ, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ვარაუდობს, რომ უნიკალური ნივთების გამოფენას მიმდინარე წელსვე შეძლებენ.

ილია მარტყოფლიშვილი: - **„ბატონი კიაზოს ეს ნაბიჯი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, რადგან მთელი საგანძური, რაც ჩვენს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, შესანახად და გამოსაფენად ჩვენვე გადმოგვეცემა. სამწუხაროდ, მანამდე ასე არ ხდებოდა. წლების განმავლობაში სხვა ყველა არქეოლოგი დედოფლისწყაროში აღმოჩენილ პატარა თიხის ჭურჭლის ნამტვრევებსაც კი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ტოვებდა. კიაზო ფიცხეულაური კი მის მიერ აღმოჩენილ ნივთებს სხვა კვლევით ცენტრებში ინახავდა და მათზე წვდომა მუნიციპალიტეტს დღემდე არ აქვს. ბოლო ხანს ბატონ კიაზოს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და გვაცნობა, რომ სურს მისი მასალა ჩვენ დავიცვათ და ვუპატრონოთ. ილიას უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს ფილიალში არსებული ყველა თიხის ჭირჭელი, რომელიც ნაპოვნია ჩვენს ტერიტორიაზე, სრულად გადმოგვეცემა. ასზე მეტი მოზრდილი ზომის და სხვადასხვა ფორმის ჭურჭელია. ბევრი მათგანის აღდგენა სწორედ ამ კვლევით ცენტრში მოხერხდა და რესტავრირებული სახით გადმოგვეცემა. გარდა ამისა, ჩვენთან შეინახება თიხის ისეთი ფრაგმენტებიც, რომელთა აღდგენა-რესტავრაცია სპეციალისტებმა ვეღარ შეძლეს. ყველა ექსპონატი დედოფლისწყაროშია აღმოჩენილი, თუმცა როგორც ადგილზე სტუმრობისას გაირკვა, ჩვენთან დარჩება ბატონი კიაზოს ხელნაწერები და ნაშრომები, რომლებიც უკვე მთელი კახეთის რეგიონის კვლევებს მოიცავს. აქ შესულია მისი სხვადასხვა ქვეყნებში მივლინების დროს გაკეთებული დასკვნები, ანალიზი. მისი უდიდესი გამოცდილებიდან გამომდინარე ვფიქრობ, ტექსტური მასალებიც ძალიან ფასეულია, მითუმეტეს, რომ ამ მონაცემების არეალი ჩვენი რაიონის საზღვრებს გასცდა ბევრი საინტერესო ინფორმაცია უნდა იყოს თავმოყრილი. აქვეა სხვადასხვა ნახაზები, რუკები, ფოტოსურათები. ყველაფერი აკინძულია, დახარისხებულია და ჩვენს საცავებში განთავსდება“.**

როგორც ილიას უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს კვლევით ცენტრში განმარტეს, კიაზო ფიცხელაურმა ბოლო ხანს რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა, ამიტომ, დედოფლისწყაროში ჩამოსვლას ვეღარ შეძლებს. მის ნაცვლად დედოფლისწყაროში პერიოდულად მისივე შვილი, კოტე ფიცხელაური იმუშავებს, რომელიც მანამდეც ჩართული იყო ამ პროცესში. კოტე ფიცხელაური სამინისტროში არქეოლოგიური მემკვიდრეობის სამსახურს ხელმძღვანელობს.

გაზეთი „შირაქი“ **დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელსაც** ესაუბრა. ლალი გურასპაული სამომავლო გეგმების შესახებ გვიყვება.

„ლაგ დედოფლისწყაროს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად, ევროკავშირის გრანტითა და კულტურის ცენტრის თანადაფინანსებით შევძელით ორი დიდი ოთახი გამოგვეთავისუფლებინა და თანამედროვე სტანდარტების რემონტი ჩაგვეტარებინა. ახლა დარბაზების რაოდენობა და საგამოფენო სივრცე მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაშინ, როცა მსოფლიო პანდემიის გამო ყველაფერი გაჩერებული იყო, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ყოველდღიურად მუშაობდა და სარეაბილიტაციო პროცესი არ შეჩერებულა. რემონტი უკვე დავასრულეთ, მცირე დეტალები დარჩა და გვინდა მალე გავხსნათ. ვგეგმავთ, სწორედ ამ დამატებით სივრცეში გამოვფინოთ ბატონი კიაზოს მიერ გადმოცემული ექსპონატები, რომლებიც მართლაც მნიშვნელოვანი ფასეულობაა ჩვენთვის,“ - ამბობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი ლალი გურასპაული.

„დედამიწა გვპასუხობს“...

„ქ.დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის ეკოკლუბი ,,შექმენი მომავალი'' აგრძელებს მუშაობას ,,ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის 2020“-ის ფარგლებში. გამოვაცხადეთ შიდა კონკურსი. ჩვენს თითოეულ წევრს გათავისებული აქვს, რომ გარემოზე ზრუნვა სახლიდანაც შეუძლია. ეკოკლუბი ონლაინ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას კლუბის წევრებისთვის და დედოფლისწყაროს სკოლების ეკოკლუბის წევრებისთვის. სულ ახლახანს ესსეების შიდა კონკურსში შევარჩიეთ მერვე კლასის მოსწავლის ლანა მენთეშაშვილის ნამუშევარი:

„არ ვიცი, საიდან დავიწყო... ამ მოკლე ხანში იმდენი რამე დაგვატყდა თავს... არამარტო მე და შენ, არამედ ყველას. მთელ მსოფლიოს... ეს, რა თქმა უნდა, კორონა ვირუსია... იმდენი წერილი, მოსაზრება ან თუნდაც რჩევა წავიკითხე ამ თემასთან დაკავშირებით, უკვე სათვალავი ამერია.. და მეც მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი... მიუხედავად ყველა იმ უბედურებისა, ყველა იმ ტკივილისა, ყველა იმ დანაკარგისა, რაც მან ადამიანებს მოგვიტანა (რის გამოც ძალიან ვწუხვარ), ამ ყველაფრის მიუხედავად, ეს უნდა მომხდარიყო... დიახ, უნდა მომხდარიყო... ერთხელ ერთმა მეგობარმა მითხრა "ადამიანი თავისი ჩადენილი ცოდვების გამო ისჯებაო"... და დიახ, ზუსტად ასეა. ჩვენ ვისჯებით ყველა იმ უკანონოდ მოჭრილი ხისთვის, ყველა იმ დამწვარი ტყისთვის, ყველა უმოწყალოდ დახოცილი ცხოველისთვის, ფრინველისთვის, ყველა იმ ზარალისთვის, რაც ჩვენ დედამიწას მივაყენეთ. ბუნება ცდილობს გვასწავლოს, ჩვენ კი ურჩი მოსწავლეები ვართ. ყველაზე მეტად კი ის მაწუხებს, რომ ჭკუას ვერაფრით ვსწავლობთ... ოხ, ეს ადამიანები... მოგვიწოდებენ, რომ სახლში დავრჩეთ და რას ვაკეთებთ ჩვენ, ხალხო? ნუთუ ასეთი ცუდია ოჯახთან მეტი დროის გატარება? ან თუნდაც მარტო სახლში... თუ მაინცდამაინც გარეთ გინდათ, მარტო გადით. წადით ტყეში, მთაში, მდინარეზე, ბორცვებზე.. სადმე ბუნებაში. დააფასეთ თითოეული თქვენი სიცოცხლის წუთი, თუნდაც სახლში, თუნდაც გარეთ, იპოვეთ თქვენი თავი. დარჩით მარტო. "უნდა დააფასო ის დრო, როცა მარტო ხარ, იმიტომ, რომ მთელ ცხოვრებაში შეიძლება მხოლოდ ერთი მომენტი გვქონდეს მარტოობისთვის. მომენტი, როცა ყველასთან ურთიერთობით დაღლილი ხარ. მშობლებით, მეგობრებით, დით, ძმით, შინაური ცხოველებითაც კი, ერთი მომენტი, როცა სრულიად მარტო რჩები, ნამდვილად მარტო... შემდეგ კი ის ქრება.. ჩვენ ცხოვრებაში ყველა წამი უნდა დავაფასოთ, სახლშიც და გარეთაც. უნდა შევიყვაროთ ყველაფერი, რაც გვაქვს.. ვისწავლოთ დაფასება, სანამ დავკარგავთ, თორემ, ხშირად ძალიან გვიანია რაიმეს შეცვლა ან გამოსწორება ... სანამ დრო გვაქვს, ვიყოთ ის, რაც ვართ! სანამ დრო გვაქვს, ვაჩუქოთ ერთმანეთს ბედნიერება, სანამ დრო გვაქვს, დავაფასოთ.. ყველაფერი უნდა დავაფასოთ, თავად დროც კი.. #დარჩისახლში #დარჩიმარტო #დარჩი, ის რაც ხარ“

სტატიის ავტორია ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის ეკოკლუბის წევრი ლანა მენთეშაშვილი.

მეორე საჯარო სკოლის ეკოკლუბი აგრძელებს კონკურსს, სადაც მონაწილეობის მიღება და თემის შერჩევა ესსეს დასაწერად კლუბის ნებისმიერ წევრს შეუძლია.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ღვინო, ჩვენი საგანძური...

მსოფლიო პანდემიამ ეკონომიკური კვალი დატოვა ყველა ქვეყანაში. მის მიერ მოყენებულ ზარალს ვერსად დაემალება საქართველოც. ჩვენ ვეცდებით გზადაგზა მოვიპოვოთ ინფორმაცია, თუ სად, რომელ სფეროსა და სტრუქტურას რა ზიანი მიადგა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოდან გვაქვს დამაიმედებლი ინფორმაცია. სტრუქტურის წარმომადგენლის -ციცია მამულაშვილთან საუბრისას შევიტყვეთ, რომ ქართული ღვინის ექსპორტი 5%-მდეც ვერ შეამცირა ამ ვითარებამ და აქვე მოგიყვებით იმ სიახლეებზე, რაც ამ ბოლო კვირებში ღვინის ეროვნულ სააგენტოში მოხდა.

ამ დრომდე საქართველოში დარეგისტრირებული იყო ქართული ღვინის ადგილწარმოშობის 20 დასახელება:

ქინძმარაული, მანავი, კახეთი, ნაფარეული, თელიანი, მუკუზანი, წინანდალი, ახაშენი, გურჯაანი, ხვანჭკარა, ატენი, სვირი, ვაზისუბანი, კარდენახი, ტიბაანი, ტვიში, ყვარელი, კოტეხი, ხაშმის საფერავი და გოლნისი. მას ბოლო პერიოდში სამი ადგილწარმოშობის ღვინო დაემატა, ესენია: „ახმეტა“, „სალხინოს ოჯალეში“ და „წარაფი“.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტი“ გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის მოთხოვნით სსიპ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მიმართა.

„ახმეტის“ მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონისთვის დამახასიათებელი მშრალი სუბტროპიკულიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი კლიმატი, მუქი ყავისფერი კარბონატული ნიადაგები, მწვანე კახურის ჯიშის ვაზის მიერ ამ მიკროზონაში გამოვლენილი გამორჩეული თვისებები, განსაზღვრავენ ღვინო „ახმეტის“ განსაკუთრებულ ღირსებას.

„ახმეტა“ (დამატებითი აღნიშვნა „ახმეტის მწვანე“) თეთრი ან ქარვისფერი ღვინოა. მიკროზონა ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობს და ქალაქ ახმეტის გარდა, მოიცავს სოფლებს: საკობიანო, მატანი, ქისტაური, არაშენდა, ახშანი, ახშნისველები, ინგეთი, კოჯორი, ოსიაური, საჩალე, ოჟიო, ალავერდი, კოლოთი, ჩაბინაანი, ხორხელი, ზემო ხოდაშენი, აწყური, ახალდაბა, ჩარექაული, ზემო ალვანი, ხორბალო, ქვემო ალვანი, ბაბანეული, მაღრაანი, ფიჩხოვანი და არგოხი.

„ახმეტა“ თეთრი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ახმეტის მიკროზონაში მოწეული კახური მწვანის ჯიშის ყურძნიდან, ხოლო „ახმეტა“ ქარვისფერის დამზადებისას დასაშვებია კახურ მწვანეს დაემატოს ამავე მიკროზონაში მოწეული ქისის და ხიხვის ჯიშის ყურძენი, ჯამურად 15%-მდე.

„სალხინოს ოჯალეში“ წითელი მშრალი ღვინოა, მიკროზონა მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. იგი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ სალხინოს მიკროზონაში მოწეული ოჯალეშის ჯიში ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სალხინოს მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონისთვის დამახასიათებელი ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, ნიადაგის მრავალფეროვნება, ოჯალეშის ვაზის ჯიშის მხოლოდ ამ მიკროზონისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მახასიათებლები და მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს „სალხინოს ოჯალეშის“ გნუმეორებელ, მხოლოდ ამ ღვინისათვის დამახასიათებელ ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს“ რეგისტრაციის მოთხოვნით ააიპ „სალხინოს ოჯალეშმა“ მიმართა.

ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, მონაწილეობდა „სალხინოს ოჯალეშის“ წარმოების სპეციფიკაციის მომზადებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ საკითხებში.

კიდევ ერთი ადგილწარმოშობის დარეგისტრირება ქართული ვაზის ჯიშებისა და ღვინოების მრავალფეროვნებასა და უნიკალურობაზე მიუთითებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის კუთხით.

„წარაფის“ დარეგისტრირებით ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რაოდენობა 23-მდე გაიზარდა, რაც ქართული ვაზის ჯიშებისა და ღვინოების მრავალფეროვნებასა და უნიკალურობაზე მიუთითებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის კუთხით.

„წარაფის“ წარმოების სპეციფიკაციის მომზადებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ

საკითხებში ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობდა.

„წარაფი“ ქარვისფერი მშრალი ღვინოა. მიკროზონა მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. „წარაფი“ მზადდება მხოლოდ წარაფის მიკროზონაში მოწეული რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან. „წარაფის“ დამზადებისას რქაწითელის ჯიშის ყურძენს შეიძლება დაემატოს 15%-მდე კახური მწვანის და/ან ხიხვის ჯიშის ყურძენი. დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

„წარაფის“ მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, დამახასიათებელი კლიმატი: ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, ტყის ყავისფერი, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, ვაზის ჯიშების განსაკუთრებული თვისებები და მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო „წარაფის“ განსაკუთრებულ ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს და მაღალ რეპუტაციას.

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

პანდემია და ტურიზმი დედოფლისწყაროში

საქართველოს მთავრობამ ტურიზმის გახსნის თარიღები დაასახელა: 15 ივნისს ტურისტული ობიექტები შიდა ტურისტებს მიიღებენ, ხოლო პირველ ივლისს საქართველოში შემოსვლა უკვე უცხოელი სტუმრებისთვის იქნება შესაძლებელი. მანამდე კი ხელისუფლება ტურისტული სექტორის დასახმარებლად ბიზნესის სტიმულირების პაკეტს აამოქმედებს, რაც გულისხმობს დარგისთვის საგადასახადო შეღავათებსა და საბანკო სესხის პროცენტის დაფინანსებას. თუმცა, ტურისტულ სექტორს მიაჩნია, რომ მომავალი ორი წლის განმავლობაში თვითგადარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა და რომ მხოლოდ 2022 წელს დავუბრუნდებით იმ მონაცემებს, რომლებიც საქართველოს ტურისტულ სექტორს კორონავირუსამდე ჰქონდა.

„ტურისტული გვალვის“ წელიწადი

2019 წელს საქართველოს 9 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია. ტურიზმიდან შემოსავლებმა 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმის წილი 8,1%-მდე გაიზარდა. საქართველოს ჰქონდა ამბიცია 2025 წლისთვის ქვეყანაში 11 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი მოეზიდა, ხოლო შემოსავალი 6,6 მილიარდ დოლარამდე უნდა გაზრდილიყო. თუმცა პანდემიამ არა მარტო საქართველოში, მსოფლიოშიც ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ცოტა ხნის წინ ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციამ ტურიზმის მომავლის სამი სავარაუდო სცენარი გამოაქვეყნა. ორგანიზაციის პროგნოზით, წლის განმავლობაში მსოფლიოში ტურისტების რიცხვი 60-80%-ით შემცირდება. ყველაზე მეტად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი იზარალებს, რომლის ქვეყნების უმეტესობა სწორედ ტურიზმზეა დამოკიდებული. სამივე სცენარი დიდწილად ქვეყნების მიერ კარანტინის გაუქმებაზე იქნება დამოკიდებული. **პირველი სცენარით, საერთაშორისო საზღვრების გახსნა და მგზავრობაზე შეზღუდვების მოხსნა ივლისიდან დაიწყება. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 58%-ით შემცირდება. მეორე სცენარით, მოგზაურობა სექტემბრიდან განახლდება, ტურისტების რიცხვი კი 70%-ით დაიკლებს, ხოლო ყველაზე უარესი სცენარით, მოგზაურობა დეკემბერზე ადრე არ დაიწყება და შემცირებაც 80%-ს მიაღწევს. შესაბამისად, საერთაშორისო ტურიზმი წლის განმავლობაში 850 მილიონიდან 1,1 მილიარდამდე ტურისტს დაკარგავს. ეს ნიშნავს, რომ ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყნები 100-120 მილიონ სამუშაო ადგილსა და 1,2 ტრილიონ დოლარამდე შემოსავალს დაკარგავენ.**

ექსპერტების ვარაუდით, საქართველოს ტურისტული სექტორი წლეულს, სულ ცოტა, 2 მილიარდამდე დოლარს დაკარგავს - ესეც იმ შემთხვევაში, თუ სექტორი სწრაფად აღდგენას მოახერხებს, სხვა შემთხვევაში, დანაკარგი უფრო მასშტაბური იქნება.

დედოფლისწყაროს ადგილობრივ ტურიზმზე კორონავირუსის გავლენაზე ვესაუბრებით დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარეს მანანა ყატაშვილს:

- რა გავლენა იქონია დედოფლისწყაროს ტურიზმზე ახალმა კორონავირუსმა?

-Covid-19-მა ჩვენს ქვეყანასა და რაიონში ბიზნესის უმრავლესობა და, მათ შორის, ტურიზმიც მნიშვნელოვნად დააზარალა. შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი ტურისტული სეზონი თითქმის ჩავარდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიცვალა ასოციაციის გეგმებიც: მოგვიწია დაგეგმილი ინფო ტურების გადადება გაურკვეველი დროით, შემოდგომამდე გადაიდო ასევე ხორნაბუჯის ციხესიმაგრის პოპულარიზაციის ღონისძიებები, მათ შორის, ჩვენი და ადგილობრივი ახალგაზრდების ერთობლივი ძალებით ციხესიმაგრის მიმდებარე და გადასახედის ტერიტორიის დასუფთავებაც.

უარყოფითი გავლენების სირთულის მიხედვით დედოფლისწყაროს ტურისტული ბიზნესები 2 კატეგორიად შეიძლება დავყოთ:

1. **ბაზარზე უკვე არსებული ტურისტული ბიზნესები და ობიექტები: მუზეუმები, დაცული ტერიტორიები, საოჯახო სასტუმროები, გიდები, ტრანსპორტის** და სხვა აღჭურვილობის გაქირავების სერვისები, კვების ობიექტები, ტურისტული ბიურო და სხვა. პანდემიის გამო სახელმწიფოს საზღვრების დაკეტვის და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გამო ამ ბიზნესებში ფაქტიურად სეზონი ვერ დაიწყო, გაუქმდა ჯავშნები, ვიზიტორთა გარეშე გავიდა ვაშლოვანის საუკეთესო სეზონი, ვერავინ ვერ ნახა ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის ევროკავშირის დაფინანსებით თანამედროვე სტანდარტების დაცვით მოწყობილი ახალი შესასვლელი, მუზეუმების საერთაშორისო დღეს ვერ ჩატარდა უკვე ტრადიციად ქცეული „ღამე მუზეუმში“,

26 მაისის პურის, ღვინის და ფოლკლორის ფესტივალი, ტურისტების გარეშე დარჩა დედოფლისწყაროს ბუნების მწვანე პერიოდი, გარემონტებულ საოჯახო სასტუმროებს არ ჰყოლია არც ერთი სტუმარი, გაუქმდა დაგეგმილი ტურები და სხვა. ამ კატეგორიის ბიზნესებმა სერიოზული დანახარჯი გასწიეს სეზონის გახსნისათვის მოსამზადებლად, მაგრამ უკუგებას ჯერ დიდხანს ვერ მიიღებენ. მათი ოპტიმიზმის საფუძველი ამ სიტუაციაში მხოლოდ არსებული ძირითადი საშუალებები და წინა წლების გამოცდილება შეიძლება იყოს.

2. ტურისტული სტარტაპები:

მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ორგანიზაცია HEKS-EPER საქართველო, ევროკავშირის ENPARD-ის პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისათვის“ (PROCEED) ფარგლებში, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (LAG) და ბიოლოგიური მეურნეობის ასოციაცია „ელკანა“- სთან ერთად ახორციელებს პროექტს. მის ფარგლებში, ტურიზმის განვითარებისთვის გრანტების სახით, მნიშვნელოვანი დაფინანსება გაიცა. შენდება ახალი და რემონტდება არსებული სასტუმროები, კვების ობიექტები, დაგეგმილი იყო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კეთილმოწყობა და სხვა. ეს პროექტები მშენებლობის შეჩერების გამოც დაზარალდა და ვადებიდანაც ამოვარდა, დასრულების შემდეგაც მიმდინარე წელს ალბათ ძალიან მცირე შემოსავალი ექნებათ. ფაქტია, ამ სტარტაპებს რთულ გარემოში მოუწევთ დაწყება.

როგორც იცით, საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა ტურიზმის ანტიკრიზისული გეგმა. სხვადასხვა ქვეყანასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფრენების აღდგენასა და საზღვრების გახსნაზე.

ჩვენი ასოციაცია ქვეყანაში მოქმედ სხვა ანალოგიური ტიპის ორგანიზაციებთან ერთად მუშაობს ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე. ველოდებით სახელმწიფო რეგულაციების გამოქვეყნებას კორონავირუსის პრევენციის მიზნით გასატარებელი სავალდებულო ღონისძიებების თაობაზე სასტუმროების, კვების ობიექტების, მგზავრთა გადაყვანის და სხვა ბიზნესებისთვის. ეს და დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვის ზომები, რა თქმა უნდა, დაკავშირებული იქნება დამატებით დანახარჯებთან, რაც გააქვირებს ვიზიტორთა მომსახურებას. დაგეგმილი გვაქვს ასოციაციის წევრებთან ერთად ამ საკითხების შეჯერება და შესაბამისი მომავლის გეგმების დასახვა.

- რას ფიქრობთ ტურიზმის პერსპექტივებზე?

თუ პანდემიის შემდეგმა ტალღამ არ შეცვალა გეგმები, სავარაუდოდ, ივნის-ივლისში გაიხსნება საზღვრები, აღდგება ფრენები, ამოქმედდება სასტუმროები და კვების ობიექტები.

ინფექციის გავრცელების პრევენციის ღონისძიებები მთელ მსოფლიოში გააძვირებს ფრენებს, და ზოგადად, ტრანსპორტირებას, გაძვირდება სხვა სერვისებიც და გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე შემცირდება საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობაც.

ჩვენს ქვეყანაში გაზრდილი უმუშევრობა და ეკონომიკური კრიზისი შეამცირებს შიდა მოგზაურთა რაოდენობასაც. თუმცა, პანდემია რომ შესუსტდება, ადამიანებს მაინც მოუნდებათ განსხვავებულ გარემოსა და ადგილზე მოხვედრა და თავისუფალი დროის გატარება. როგორც დარგის ექსპერტები ვარაუდობენ, 2020 წელი და მინიმუმ მომდევნო 2 წელი იქნება საჭირო, რომ 2019 წლის მდგომარეობამდე მივიდეთ.

ამ ეტაპზე დიდი პლუსი გვაქვს ის, რომ ჩვენი რაიონი და მთლიანად კახეთი კორონავირუსის გავრცელების კუთხით მწვანე ზონაა, მაგრამ ტურიზმის განვითარების სავალდებულო და აუცილებელი პირობა მთელი რეგიონის გარემოს სისუფთავეა, რაც უცხო ადამიანს პირველი ხვდება თვალში და მოსახლეობის კულტურაზე მეტყველებს.

ახლა ყველამ ერთად ხელისუფლების თანადგომით უნდა ვიზრუნოთ ისეთი ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნაზე, რაც ნაკლებად რესურსტევადი და მეტი შემოსავლის მომტანი იქნება. ჩვენ შეგვიძლია „ახალი მოთხოვნადი“ ტურისტული პროდუქტების შეთავაზება (კულტურული ტურიზმი, ღვინის და გასტრონომიული ტურიზმი, ეკო და აგროტურიზმი, დაცული ტერიტორიები, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვა.) და უსაფრთხო ტურისტული ზონის შექმნა.

დედოფლისწყაროს რაიონს თავისი მდიდარი ტურისტული რესურსებით და სხვადასხვა კუთხის და ეროვნების წარმომადგენელი მოსახლეობით დიდი შანსი აქვს, გახდეს ტურისტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი ადგილი, თუკი ტურიზმის ბაზარზე მოხდება მისი სათანადო პოზიციონირება, როგორც მეგობრობის ქალაქისა. აქ ხომ ქართველების გვერდით მეგობრულად ცხოვრობენ კავკასიის თითქმის ყველა ეროვნების ადამიანები. ტურიზმის უკეთესად განვითარება რაიონში მეტ ადამიანს გაუჩენს შემოსავლის წყაროს.

ამისათვის სახელმწიფოს მიერ ტურიზმის ანტიკრიზისული გეგმის განხორციელებასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერის იმედიც გვაქვს. რადგან გზების, ხუროთმოძღვრების ძეგლების და კულტურის სხვა ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწყობის უფლებამოსილება მხოლოდ სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია, ამგვარი ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე ტურიზმის ბიზნესები ვერ იმუშავებენ.

ვფიქრობთ, დედოფლისწყაროს მერიაც, ქვეყნის მთავრობის სტრატეგიიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტებში გაითვალისწინებს ტურისტულ ობიექტებთან ინფრასტრუქტურის შექმნას და არსებულის მოწესრიგებას: ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრესთან, ოზაანის „ამაღლების“ ტაძართან, არწივის ხეობასთან და სხვა ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზების და მიმდებარე ტერიტორიების მოწესრიგებას, ნარჩენების მართვის, ტუალეტების მოწყობის, საინფორმაციო დაფების და საგზაო მაჩვენებლების, უმეთვალყურედ მიტოვებული პირუტყვის და მაწანწალა ძაღლების საკითხების მოგვარებას, ადგილობრივ მუზეუმებში ინტერიერის და ექსპოზიციების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მოწყობას, მუზეუმში შესასვლელი ბილეთის ღირებულების განსაზღვრას, ტურისტული ბილიკების მონიშვნას, და რაც ყველაზე მთავარია, მთელი რაიონის ტერიტორიაზე სისუფთავის დამყარებას და შენარჩუნებას, მუნიციპალიტეტის ყველა დონეზე პოპულარიზაციის სარეკლამო კამპანიის წარმოებას და სხვა.

ჩვენი რაიონის ერთ-ერთი სიმდიდრეა ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური და ისტორიული სიძველეები. არქეოლოგიური კვლევები აქ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობდა. აღმოჩენილი ნამოსახლარების და ნაქალაქარების ასაკი ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის დასაწყისითაც კი თარიღდება. აქ მოპოვებული მასალების უმეტესობა, ვიკიპედიის მიხედვით, ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გურჯაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საცავში, მხოლოდ მცირე ნაწილია დატოვებული დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ისიც თითქმის არ არის საგამოფენო დარბაზში. ალბათ, გარკვეული ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი იქნება არქეოლოგიური მასალების ნაწილის ჩვენს მუზეუმში განთავსება. მუნიციპალიტეტისათვის და მიწის მესაკუთრისთვის შემოსავლის მომტანი იქნება არქეოლოგიურ ძეგლ „დიდნაურის ნაქალაქარზე“ მნახველებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ტურისტების და მეცნიერებით დაინტერესებული ადამიანების მოსაზიდად.

ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, ქვეყანაში ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, შემოაქვს უცხოური ვალუტა, შემოსავალს უჩენს ტურისტულად განვითარებული და კარგად რეკლამირებული მუნიციპალიტეტების მოსახლეობას, ტურიზმის ზოგიერთი სახე მცირე ინვესტიციებითაც კი მნიშვნელოვან შემოსავალს ქმნის. ამბობენ, განსაცდელი, რომელიც არ გვკლავს, გვაძლიერებსო. იმედი გვაქვს, კრიზისიდან გამოსვლა გახდება განვითარების ახალი პერსპექტივების დასაწყისი.

თვითგადარჩენის წელიწადი

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2020 წლის განმავლობაში ტურისტული სექტორი საქართველოში სრულად გათავისუფლდება ქონების გადასახადისგან, ხოლო საშემოსავლო გადასახადი წლის ბოლომდე გადაუვადდება. მთავრობა ფიქრობს, რომ ამით ბიზნესი, სულ ცოტა, 135 მილიონი ლარის შეღავათს მიიღებს და შესაძლებლობა ექნება ხელფასები დაარიგოს, ან უსაფრთხო ტურისტული სეზონისთვის მოემზადოს. კიდევ 60 მილიონი ლარი ტურისტული სექტორისთვის „ანარმოე საქართველოში“ პროგრამების ფარგლებში გაიწერება და ეს თანხა მოხმარდება 20 მილიონ ლარამდე ბრუნვის მქონე სასტუმროებისთვის სესხის პროცენტის 90%-ით სუბსიდირებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია 5 მილიონი ლარის დახმარების პაკეტი ტურისტული კომპანიებისთვის, გიდებისა და ტუროპერატორებისთვის.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

სამხედროფორმიანი მანეკენი და „ბორდერიზაცია“ ოკუპაციის ხაზზე

გამთენიისას 5-მა კაცმა ცენტრალური გზიდან გადაუხვია, ფეხით რამდენიმე ქედი და მინდორი გადაიარა, - დაახლოებით, 20 კილომეტრი, - პოლიციის სამ საგუშაგოს გვერდი აუარა და სოფელში შეუმჩნევლად შეიპარა. სოფელში დიდხანს არ გაჩერებულან, - შეიძლებოდა პოლიციის მოძრავი საპატრულო ეკიპაჟი გამოჩენილიყო და ყველაფერი ჩაშლილიყო. ცოტა შეისვენეს, ატოცის საოკუპაციო ღობემდე 3 კილომეტრი რჩებოდა. გზა მინდორში გადიოდა, მაგრამ გზიდან ისევ გადაუხვიეს, რადგან შემაღლებული ქედი სოფლიდან კარგად ჩანდა და შეიძლებოდა ნებისმიერ წუთს ვინმეს შეემჩნია. ცალკე საფრთხე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოულოდნელად გამოჩენილი ცხენოსანი პატრულისგან მოდიოდა, ამიტომ გუჩქებს ეფარებოდნენ, ტერიტორიას ზვერავდნენ და ასე მიიწევდნენ წინ. დროებითან მალე მივიდნენ, უფრო სწორად, საქართველოსა და უკრაინის დროების ნაფლეთებთან. ატოცის მინდორში ძლიერი ქარი იცის და ერთი წლის წინ დამონტაჟებული დროებიდან მხოლოდ პატარა ნაჭრებიღა იყო დარჩენილი. მათ გამოცვლაზე არავის უზრუნია. იქ, დიდი ხანია, სამოქალაქო აქტივისტებს აღარ უშვებენ. ძელიდან ნადროებალები სწრაფად ჩამოხსნეს და მათ ადგილზე ახალი ალმები დაამაგრეს.

სიომ მაშინვე გაშალა და ააფრიალა უკრაინისა და საქართველოს დროშები. ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრებს იქაურობა შეცვლილი დახვდათ. საოკუპაციო ღობესთან ახალი ხნული შენიშნეს, ღობის მიღმა, საოკუპაციო ძალების საგუშაგოსთან კი თხრილიდან სამხედრო ფორმაში ჩაცმული პირი იყურებოდა, თუმცა არ ინძრეოდა. მოძრაობის წევრებმა ფოტო და ვიდეოგადაღება დაიწყეს. კადრებს დააკვირდნენ და მალევე მიხვდნენ, რომ თხრილიდან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი წითურთმიანი მანეკენი იმზირებოდა. ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრებს ჯერ გაეღიმათ, მაგრამ მაშინვე გაბრაზდნენ: საფრთხოელა დაუყენებიათ, დაგვცინიანო.

„ჩვენთვის დამამცირებელი სურათი დაგვხვდა ატოცში. ოკუპანტი, დიდი ალბათობით, ძველი საგუშაგოს განახლებას ან გარემონტებას გეგმავს და თავის საოკუპაციო ობიექტს იცავს საფრთხობელით. დიახ, საფრთხობელა დგას საგუშაგოზე, დაგვცინიან. ტერიტორია მოშიშვლებულია. რაც ჩვენ ატოციდან გამოგვიშვეს, პოლიციელები აქ აღარც ადიან, რუსებიც თავს აღარ იწუხებენ დიდი მოძრაობით, რადგან მათ საქმეს ეს საფრთხობელაც კარგად ასრულებს და დღევანდელი ხელისუფლების უმწეობას წარმოაჩენს“, - ამბობს ანტისაოკუპაციო მოძრაობის ლიდერი, დავით ქაცარავა.

საქართველოს საზოგადოებას აქამდე არაფერი სმენია ატოცში ახალი ხნულების, საოკუპაციო საგუშაგოსთან თხრილისა და ღობეებთან მანეკენების განთავსების შესახებ. მედიისთვის კონფლიქტის ზონა დახურულია, ოპერატიულ განცხადებებს არც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს.

ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში საოკუპაციო ძალები ქართულ სოფლებთან ინტენსიურად ჩნდებოდნენ და სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებდნენ. რადიო თავისუფლების წყაროს ცნობით, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობს, „ბორდერიზაციის“ პროცესი 12 ლოკაციაზე განახლდა. ეს არის იმ წყაროს ინფორმაცია, რომელმაც მარტში „თავისუფლებას“ აცნობა აფხაზურ მხარესთან ტექნიკური მოლაპარაკების დაწყებისა და მოგვიანებით ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემის შესახებ. ცოტა ხანში ეს ინფორმაცია ოფიციალურადაც დადასტურდა, ამიტომ წყაროს მიმართ სანდოობა მაღალია. საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, იყო შემთხვევები, როცა ადმინისტრაციული საზღვრიდან სამხედრო პირები საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე შედიოდნენ და სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებდნენ. ამ პროცესში ის გაკვირვებულია საქართველოს ხელისუფლების ინერტულობით.

„ჩვენ, ჩვენი მანდატის ფარგლებში, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ევროპის ქალაქებში ინფორმაცია ანგარიშების სახით სწრაფად ჩავიდეს. მხარდამჭერი განცხადებები კი იმაზე ადრე ვერ გაკეთდება, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურ პოზიციას არ დააფიქსირებს. ბოლო თვე-ნახევარში 12 ლოკაციაზე მიმდინარეობდა ბორდერიზაციის პროცესი და საქართველოს ხელისუფლებიდან სულ რამდენიმე ზოგადი განცხადება გაკეთდა, ისიც იმ დროს კეთდებოდა, როცა პროცესს რუსები და ოსები უკვე ასრულებდნენ. სახელმწიფო მინისტრმა ციხელაშვილმა ტახტისძირზე სამდღიანი დაგვიანებით ისაუბრა და ახლა 22 მაისს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე დაგვიანებით დააფიქსირა პოზიცია და საერთაშორისო თანამეგობრობისგან მხარდაჭერა ითხოვა. ეს ყველაფერი გვაბნევს. ჯერ საქართველოს ხელისუფლებამ დააფიქსიროს მკაფიო პოზიცია და ევროპიდანაც არ დააგვიანებს პასუხი და მხარდაჭერა. ჩვენ კი ორიოდე დაგვიანებული განცხადების მეტი არაფერი ვიცით“, - ამბობს რადიო თავისუფლების წყარო.

მას ოკუპაციის ხაზთან ჟურნალისტებისა და სამოქალაქო აქტივისტების არშეშვებაზეც ვკითხეთ და მისი აზრით დავინტერესდით.

„შეიძლება ზოგიერთმა ჟურნალისტმა გაუაზრებელი მოქმედებით ან კონფლიქტის სპეციფიკის არცოდნით საფრთხე საკუთარ თავს და სხვებსაც მართლაც შეუქმნას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ჟურნალისტს უარი უთხრა ქართულ სოფლებში გადაადგილებაზე. ჯერ თქვენს საზოგადოებაში უნდა დასვათ კითხვა, გჭირდებათ ინფორმაცია ადმინისტრაციული საზღვრის ტერიტორიიდან თუ არა. თუ გჭირდებათ, თქვენი სამუშაო არ უნდა შეიზღუდოს. შეიძლება იყოს რეგულაცია, მაგრამ არა შეზღუდვა. ესეც ცოტა გაუგებარია ჩემთვის: თუ საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო მედიის ყურადღების მიქცევას ცდილობს და თან ადმინისტრაციულ ხაზთან საკუთარ ჟურნალისტებს არ უშვებს, როგორ გამოჩნდება საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში? ხშირად უცხოური მედია ხომ წყაროდ სწორედ ადგილობრივ მედიას იყენებს და სადაა ქართული მედიის მიერ გაშუქებული თემები? მე ვფიქრობ, საერთაშორისო ორგანიზაციები თქვენს მთავრობას ამის შესახებ მალე დაელაპარაკებიან“.

ასეთი მოსაზრებები დააფიქსირა რადიო თავისუფლებასთან იმ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომელიც აქტიურად არის ჩართული მოლაპარაკებისა და კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, თუმცა გარკვეული მოსაზრებების გამო ანონიმურად დარჩენა ისურვა.

„მხოლოდ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი პარალელურად მიმდინარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების: ცერონისისა და კნოლევის, ტახტისძირისა და დვანის, კოდას, ჭვრინისისა და ატოცის; წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლების: ფახულანისა და მუჟავას და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: ხურჩისა და განმუხურის მიმდებარე ტერიტორიებზე“ - ეს არის ამონარიდი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 22 მაისს გავრცელებული განცხადებიდან.

ერთი კვირის განმავლობაში საოკუპაციო ძალები დაუბრკოლებლად მუშაობდნენ შიდა ქართლის სოფლებში და არც ერთ სახელმწიფო უწყებას ამის შესახებ ინფორმაცია არ გაუვრცელებია. ოკუპაციის ხაზთან, დიდი ხანია, არც ჟურნალისტებს უშვებენ და არც სამოქალაქო აქტივისტებს, ამ ვითარებაში კი ინფორმაციის მიღების ერთადერთ წყაროდ ადგილობრივი მოსახლეობა რჩება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჟურნალისტებსა და სამოქალაქო აქტივისტებს უარის მიზეზად მათსავე უსაფრთხოებას უსახელებს, მაგრამ ეს არგუმენტი გაუგებარია მედიის წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც ვითარების გარკვევა ადგილზე უნდათ. მაგალითად, სოფელ ტახტისძირში ვიდრე მოსახლეობამ ხმაური არ ატეხა, ყველა სახელმწიფო უწყება ჩუმად იყო.

საგარეო საქმეთა სამინისტრო დაგვიანებით მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას მონოდებით, სათანადოდ შეაფასოს რუსეთის დესტრუქციული ნაბიჯები და ქმედითი ზომები მიიღოს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთისგან გახშირებული თავდასხმების შესაჩერებლად.

„ყველა ზემოხსენებული მიმართულებით რუსეთის მიერ გააქტიურებული პროვოკაციული ქმედებები წარმოადგენს მოსკოვის მიზანმიმართული დესტრუქციული პოლიტიკის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციას ადგილზე კონფლიქტის ესკალაციითა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების ამოქმედებით“.

საგარეო უწყება დასახმარებლად საერთაშორისო საზოგადოებას მიმართავს, ადგილობრივი საზოგადოება კი ჩაკეტილი კონფლიქტის ზონის გამო მოკლებულია ზუსტ ცნობებს მცოცავი ოკუპაციის შესახებ.

გოგა აფციაური,
რადიო „თავისუფლება“

აშშ-ის საელჩოს განცხადება „ბორდერიზაციისა“ და საქართველოში ლუგარის ლაბორატორიის შესახებ

საქართველოში აშშ-ის საელჩო ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე მიმდინარე “ბორდერიზაციის” პროცესთან და რუსეთის მხრიდან ლუგარის ცენტრის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციის კამპანიასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

საელჩო კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია, შეასრულოს 2008 წლის ვალდებულებები, გაიყვანოს თავისი ძალები და შეწყვიტოს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების დაბლოკვა.

საელჩო განცხადებაში აღნიშნავს, რომ ლუგარის ლაბორატორიამ სასიცოცხლო მნიშვნელობის როლი შეასრულა საქართველოს ბრძოლაში კოვიდ 19-ის წინააღმდეგ.

“იმ ფონზე, როდესაც მსოფლიო ულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის იუბილეს და აღნიშნავს საქართველოს წარმატებას კოვიდ 19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამერიკის შეერთებული შტატები პროტესტს გამოთქვამს მიმდინარე, პროვოკაციულ “ბორდერიზაციასთან” დაკავშირებით, რომელსაც ახორციელებს რუსეთისგან მართული უშიშროების ძალები, რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში რუსეთის მიერ მართულმა უშიშროების ძალებმა უკანონოდ აღმართეს ღობეები და გააძლიერეს არსებული უკანონო „ბორდერიზაციის” პროცესი 12 ქართული სოფლის მიმდებარედ.

არანაკლებ შემაშფოთებელია რუსეთის მხრიდან მიმდინარე დეზინფორმაციის კამპანია, მათ შორის სიცრუის შეთხზვა და მისი გავრცელება ლუგარის ცენტრთან დაკავშირებით, რომელმაც სასიცოცხლო მნიშვნელობის როლი შეასრულა საქართველოს ბრძოლაში კოვიდ 19-ის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატები არ შეასუსტებს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ჩვენ კვლავ ვიმეორებთ ჩვენს მოთხოვნას: შეწყვიტოს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია, შეასრულოს 2008 წლის ვალდებულებები, გაიყვანოს თავისი ძალები და შეწყვიტოს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების დაბლოკვა”, - ნათქვამია განცხადებაში.

“ინტერპრესნიუსი”

უახლოესი 50 წლის განმავლობაში განათლების სისტემა მთლიანად ვირტუალური გახდება

გასულ წელს, New York Times-მა მიჩიო კაკუ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ ადამიანად დაასახელა. იაპონელი წარმოშობის ამერიკელმა ფიზიკოსმა მოღვაწეობის დიდი ნაწილი შავი ხვრელებისა და სამყაროს გაფართოების დაჩქარების შესწავლას დაუთმო, დააარსა სტრინგ-ის თეორია, რომელიც ფიზიკის ერთ-ერთ ძირითად მოდელადაა მიჩნეული. მეცნიერი არის 8 ბესტსელერი წიგნის, BBC-ისა და Discovery-ს გადაცემების სერიათა ავტორი. შემოთავაზებულ ინტერვიუში იგი საუბრობს საკუთარ ხედვებზე მომავლის განათლების სისტემასთან დაკავშირებით.

თქვენს წიგნში „მომავლის ფიზიკა“ წერთ, რომ განათლება დაფუძნებული იქნება ინტერნეტ-ტექნოლოგიებსა და Google Glass-ის ტიპის მოწყობილობებზე. კიდევ რა ფუნდამენტურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ სწავლების სფეროში?

მთავარია ის, რომ სწავლის პროცესი დამახსოვრებაზე აღარ იქნება დაფუძნებული. ძალიან მალე, კომპიუტერები და Google Glass-ის სათვალეები მინიატურულ ლინზებად ტრანსფორმირდებიან, რომლებშიც ნებისმიერი სასურველი ინფორმაციის ჩატვირთვა იქნება შესაძლებელი. უკვე არსებობს მსგავსი ფუნქციის მქონე სათვალეები, ასე რომ, დაახლოებით 2 წლის შემდეგ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შეეძლებათ გამოცდებისას პასუხების ინტერნეტში ძიება, ამისათვის კი საკმარისი იქნება თვალის ერთი დახამხამება! ერთ მხრივ, აღარ იქნება საჭირო ტვინის უსარგებლო ინფორმაციით გადატვირთვა. მეორე მხრივ - გონების თავისუფალი ნაწილი კონცენტრირდება ფიქრის, ანალიზის, არგუმენტირების, სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებაზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ იქნება გამოცდებისა და მასწავლებლების არსებობის საჭიროება?

ნამდვილად. ჩვენ უფრო დამოუკიდებლები ვიქნებით. ავიღებთ სრულ პასუხისმგებლობას საკუთარ ცხოვრებაზე, შესაბამისად, აღარ იქნება სხვა ე.წ. „მაკონტროლებელი ორგანოები“ საჭირო. ჩვენ ჩვენით განვანათლებთ საკუთარ თავს. კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, იარსებებს ე.წ. „გონიერი“ კედლები. ეს კედლები იქნება ყველგან: ბინებში, ოფისებში, ქუჩებშიც კი. საკმარისი იქნება მხოლოდ მასთან მიახლოება და

თქმა: „მსურს, გავესაუბრო ბიოლოგიის პროფესორს“. წამიერად, კედელზე მეცნიერი გაჩნდება, რომელიც ნებისმიერი სახის ინფორმაციას მოგაწვდით. ეს სისტემა არა მხოლოდ განათლების, არამედ მედიცინის, იურისპრუდენციის, დიზაინის, ფსიქოლოგიისა და სხვა სფეროებშიც გამოგვადება. ცხადია, ეს არ გამორიცხავს ნამდვილი სპეციალისტების, მაგალითად, ქირურგების საჭიროებას რეალურ ცხოვრებაში, თუმცა „გონიერი“ კედელი პატარა პრობლემებს მარტივად მოგაგვარებინებთ. მასწავლებლები კი ნამდვილად აღარ იქნებიან საჭირო. ნელ-ნელა, უახლოესი 50 წლის მანძილზე განათლების სისტემა მთლიანად ვირტუალური გახდება. სავარაუდოდ, ისევ იარსებებს სასწავლო დაწესებულებები, თუმცა მათ, ვინც ლექციებს დაესწრებიან, უბრალოდ წარუმატებელ ადამიანებს უწოდებენ, რომლებმაც ვერ მოახერხეს თავიანთი ძალებით განათლების მიღება.

მიღებული განათლების დამამოწმებელი საბუთი - დიპლომი ალბათ აღარ იარსებებს. ექნება თუ არა მას რაიმე ალტერნატივა? დღეს, თუ გინდა, რომ მაღალი დონის სპეციალისტი გახდე, კონკრეტული ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებაა საჭირო. რა იქნება წარმატებულობის კრიტერიუმები მომავალში?

- იმისათვის, რომ გახდე წარმატებული, უნდა გქონდეს ის მახასიათებლები, რომლებიც რობოტებს არ აქვთ: კრეატიულობა, წარმოსახვისა და ინიციატივის გამოჩენის უნარი, ლიდერის თვისებები. საზოგადოება ნელ-ნელა სავაჭრო ეკონომიკიდან ინტელექტუალურ-შემოქმედებით ეკონომიკაზე გადადის. წარმატების მიღწევის გაცილებით დიდი შანსი ექნებათ ქვეყნებს, რომლებსაც შეეძლებათ, დააბალანსონ სავაჭრო ბაზარი და კოგნიტურ-კრეატიული პოტენციალი. ის ერები, რომლებიც მხოლოდ სოფლის მეურნეობის იმედად არიან, განწირულნი არიან სიღარიბისთვის.

დღეს უმუშევართა რიცხვი ყველაზე დიდია, რაც ოდესმე ყოფილა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ეს მხოლოს მსოფლიო კრიზისის ბრალია თუ ნაწილობრივ, განათლების სისტემისაც?

მოქმედი განათლების სისტემა წარსულის სპეციალისტებს ამზადებს. ჩვენ ადამიანებს ვასწავლით იმისათვის, რათა იარონ სამსახურში, რომელიც უკვე აღარ არსებობს, აღვჭურავთ მათ ისეთი ინტელექტუალური ინსტრუმენტებით, რომლებიც უკვე დიდი ხანია მოძველდა და ეფექტურობა დაკარგა. ამიტომაა მსოფლიოში დაუსაქმებელთა ამხელა რაოდენობა.

რა გავლენას იქონიებს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება ადამიანის ინტელექტზე?

სავსებით რეალურია, რომ 2050 წლისთვის შეიქმნება ისეთი გონება, რომელიც აღემატება ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი ყველაზე ჭკვიანი ადამიანის გონებასაც კი. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ, ევროპულმა პროექტმა Human Brain Project, 1-მილიარდიანი ინვესტიციით შექმნა ადამიანის ტვინის უნიკალური რუკა - ,,Big Brain", რომელიც აჩვენებს ადამიანის ტვინის დეტალურ სტრუქტურას, 20 მიკრომეტრის სიზუსტით. ასეთი ანატომიური ატლასი არა მხოლოდ გაამარტივებს ნეიროქირურგების ამოცანებს და დაგვეხმარება უმძიმესი დაავადებების განკურნებაში, არამედ მოგვცემს საშუალებას, დავინახოთ, როგორ გადაამუშავებს ტვინი ემოციებს და აღიქვამს ინფორმაციას. ეს არსებითად დააჩქარებს „ზე-გონების“ შექმნის პროცესს. ტვინის ჩიპები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის უწყვეტი მიწოდების რეჟიმს, ახლო მომავლის პერსპექტივაა.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

პანდემია და კვების რაციონი

მსოფლიოში COVID-19—ის გამოჩენის შემდეგ მარავალი რამ შეიცვალა და მათ შორის მოთხოვნა სხვადასხვა პროდუქტებზე. პირველი შოკის შემდეგ თითქმის ყველა ქვეყნის სუპერმარკეტებში ქაღალდის ხელსახოცებისა და ჰიგიენური ქაღალდების დახლები დაცარიელდა, რასაც სხვა პროდუქტებიც მიჰყვა. ყველა ოჯახში გაჩნდა ჯერ აზრი და შემდეგ უკვე შიში, ხომ არ გვემუქრება საკვები პროდუქტების დეფიციტი. სწორედ ამან გამოიწვია კონკრეტულ პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდა. თუმცა როგორც მოგვიანებით გაირკვა, მსოფლიო საკვები პროდუქტების დეფიციტის წინაშე არ დგას და შესაბამისად, დარეგულირდა მოთხოვნაც. თუმცა შეიცვალა მოთხოვნის მაჩვენებელი სხვადასხვა პროდუქტზე.



უამრავი ადამიანი სახლში ამოჩნდა და თუ აქამდე ისინი კაფეებისა და რესტორნების ხშირი სტუმრები იყვნენ, ახლა იძულებული გახდნენ, სახლში აკეთონ კერძებო. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ საცალო სამომხმარებლო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა ფქვილი, ბურღულეული და სხვა.

ახლა გთავაზობთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს სამი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, თუ რომელ 10 საკვებ პროდუქტზე გაიზარდა მოთხოვნა ყველაზე მეტად.



იტალია

იტალიაში გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტად მოთხოვნა გაიზარდა ფქვილზე, ხორცის კონსერვებსა და ბრინჯზე. ამ ქვეყნის ათეულში დიდი ნაწილი მზა კერძებს ან სწრაფად და მარტივად მოსამზადებელ პროდუქტებს უკავია.

აშშ

აშშ-ს ათეული საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ არა მხოლოდ მზა კერძებზე, არამედ ჯანსაღ პროდუქტებზეც გაიზარდა მოთხოვნა. პირველი სამეული კი ასე გამოიყურება: რძე, ხორცი და ლობიო.

საქართველო

იმის გასარკვევად, თუ რომელ პროდუქტებზე გაიზარდა ყველაზე მეტად მოთხოვნა საქართველოში, სუპერმარკეტ „ნიკორას“ მივმართეთ. კომპანიის შესყიდვების ხელმძღვანელი სალომე ხაბალაშვილი განმარტავს, რომ მომხმარებლის ქცევა, ისევე როგორც მოთხოვნა სხვადასხვა პროდუქტზე შეიცვალა, მაგრამ ეს მოსალოდნელი იყო მათთვის და ცვლილებას მზად დახვდნენ.

„ეპიდემიის პერიოდში მომხმარებლის ქცევა სხვადასხვაგვარი იყო და პროდუქციაზე მოთხოვნის განსაკუთრებული ზრდა სამ ეტაპად დაფიქსირდა. პირველი დიდი ტალღა დაფიქსირდა 26 თებერვალს, როდესაც საქართველოში პირველი ადამიანს დაუდასტურდა კორონავირუსი. პირველი, რაზეც გაიზარდა მოთხოვნა, იყო კონსერვაცია და გრძელვადაინი პროდუქცია. ასევე პირველივე ეტაპზე გაიზარდა მპთხოვნა ჰიგიენურ საშუალებებზე.

მეორე ეტაპზე მოთხოვნა გაიზარდა ისეთ საკვებ პროდუქტებზეც, როგორებიცაა "ნიკორას" მზა ხორცპროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, ბურღულეული, შაქარი, მაკარონი, ზეთი... გაყიდვების მიმართულებით დადებითი ტენდენცია შეიმჩნეოდა რძის პროდუქტებსა და „მზარეულის“ გაყინული პროდუქტების მიმართულებით. დროის არც ერთ მონაკვეთში არ შემცირებულა მოთხოვნა ამ ორ პროდუქციაზე, ასევე გაყინულ ქათამზე.

ტკბილეულის მიმართულებით, ზრდა დაფიქსირდა ასაწონ პროდუქციაზე, ორცხობილებსა და ვაფლებზე, რისი დამარაგებაც ძირითადად ბავშვებისთვის დაიწყეს. შემცირდა მოთხოვნა ალკოჰოლურ სასმელზე, გარდა ღვინისა. კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია იყო ის, რომ მომხმარებელმა ძვირიანი ბრენდების ნაცვლად შედარებით იაფფასაინი პროდუქციის შეძენა დაიწყო. ერთადერთი მიმართულება, რომელმაც ლოიალური მომხმარებლები შეინარჩუნა, ეს იყო რძის პროდუქტები," - განმარტავს სალომე ხაბალაშვილი.

მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რომლებზეც საქართველოში, ეპიდემიის პერიოდში მოთხოვნა ყველაზე მეტად გაიზარდა ასე გამოიყურება (ინფოგრაფიკაზე მოცემულია ჯამში სამი თვის მანძილზე ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტები):



„თანადგომა – სამყაროს ჩუმი სიკეთე მართავს!“

არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ჯგუფმა სულ ახლახანს საქველმოქმედო ღონისძიება - „თანადგომა – სამყაროს ჩუმი სიკეთე მართავს!” გამართა. გარდა ამისა, სწორედ ამ ღონისძიებით დაიწყო მათი ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაცია „CSRDG”-თან და “საგას”-თან. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა და სამოქალაქო განვითარების ასოციაციამ „ღია საზოგადოება“ ფონდის დაფინანსებით, არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა სოფელში ოცი შეჭირვებული ოჯახისთვის ჰუმანიტარული პაკეტი (პირველადი საჭიროების საკვები და ჰიგიენური პროდუქტები) გადაეცა.

გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას, **არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორი** მაია ლამაზოშვილი აღნიშნავს, რომ მაშინ როდესაც მსოფლიოში პანდემიაა, არსებულ რეალობას ისევ თანადგომითა და ერთმანეთის დახმარებით თუ გადავლახავთ. **„ჩვენ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან 2016 წლიდან ვთანამშრომლობთ. სულ ახლახანს, ონლაინ რეჟიმში, ჩაგვიტარდა გადამზადება სპეციალური ეკიპირების სწორედ გამოყენებასთან დაკავშირებით. სწორედ ამის შემდეგ ჩვენს მოხალისეებთან ერთად, რომლებიც ძირითადად ჩვენი სათემო ჯგუფის წევრები არიან, დავარიგეთ 100 ლარის ღირებულების ჰუმანიტარული პროდუქტი ისეთ ოჯახებში, რომლებსაც მუნიციპალური დახმარება ვერ შეხვდათ და ითვლებიან შეჭირვებულებად. გარდა ამისა, პროდუქტი დავურიგეთ მარტოხელა დედებსაც და ახალგაზრდა ოჯახებსაც, რომლებსაც არ ჰქონდათ არც პენსია და არც სოციალური დახმარება. ორგანიზაციამ ჩვენ მოგვცა არჩევანის თავისუფლება და ამიტომ, ჩვენ აქციის მიზნად თანადგომა ვაქციეთ. ყველა ვიაზრებთ, რომ ამ პირობებში ის ნამდვილად სჭირდებათ ადამიანებს. სამომავლოდ, სავარაუდოდ, კიდევ გაგრძელდება ღონისძიებები, სხვადასხვა ფორმით, მათ შეიძლება ინდივიდუალური ან საგრანტო ფორმა ჰქონდეს, მაგრამ ვეცადეთ, ამ ეტაპზე ყველასთვის გაგვეწია დახმარება. დიდი მადლობა ჩვენს დონორ ორგანიზაციებს ამ სიკეთისთვისა და თანადგომისთვის“.**

გეტყვით, რომ ღია საზოგადოების ფონდი „I Open Society Georgia Foundation“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა საქართველოს 5 რეგიონში მუდმივმოქმედი მოხალისეთა ჯგუფების შექმნა და მათი გადამზადება. პროექტის მიზნობრივი რეგიონებია - **კახეთი, სამეგრელო, გურია, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი.** პროექტის ფარგლებში შეიქმნა მუდმივმოქმედი მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც სრულად დაკომპლექტებულია ადგილობრივი მაცხოვრებლებით. როგორც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ფეისბუქ გვერდზე არსებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, პროექტში ჩართულია 70-მდე მოხალისე. მუდმივმოქმედი მოხალისეთა ჯგუფი შეიქმნა დღეს ქვეყანაში არსებული გამოწვევის საპასუხოდ, თუმცა ჯგუფი გააგრძელებს მუშაობას პანდემიის სრულად დამარცხების შემდეგ. რადგან სოფლებში არსებული პრობლემებთან ბრძოლისთვის უპირველესად აუცილებელია ადგილზე არსებობდეს ქმედითი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. **ღია საზოგადოების ფონდი-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „ერთიანობა და სოლიდარობა COVID 19-ს წინააღმდეგ“ ფარგლებში გრძელდება სხვადასხვა სოფლებში ჰუმანიტარული პაკეტების დარიგება. ჰუმანიტარული პაკეტი დაკომპლექტებულია პირველადი საჭიროების საკვები და ჰიგიენური პროდუქტებით. ასევე ორგანიზაციის ინფორმაციით, პროდუქტის მიღებას კიდევ ელოდება 379 ოჯახი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის გუნდი ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომელიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს მთელს საზოგადებას.**

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ულოცავენ!

ნუგზარ პაპიაშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, **ნუგზარ პაპიაშვილს** ულოცავს შვილიშვილის, **ნინაკა ნაკვეთაურის** დაბადებას, პატარა ნინაკას კი ჯანმრთელობას და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას უსურვებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო საკრებულოს თავმჯდომარეს, **ნუგზარ პაპიაშვილს** ულოცავს შვილიშვილის შეძენას. პატარა ნინაკას ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ.

მარიამ და სალომე გორაშვილებს!

ჩვენო საყვარლებო, ჩვენი ოჯახის ძალიან ძვირფასო შვილებო, დიდი სიხარულითა და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეებს - 29 მაისს და 2 ივნისს. გისურვებთ, ლაღი და ლამაზი ცხოვრებით გეცხოვროთ, ყოველი დღე თქვენთვის იყოს სიკეთის მომტანი. თქვენ უკვე მეორე კურსის სტუდენტები ხართ. უამრავ წარმატებასა და მიზნების ასრულებას გისურვებთ. თქვენი გზა მუდამ უფლისგან ყოფილიყოს დალოცვილი. გვიყვარხართ და გვეიმედებით.

პაპა ვისელი, ბებო მაყვალა, მამა შენგელი, დედა ნინო,მამიდა ნინო, მამიდაშვილი ბარბარე.

ლილი მნათობიშვილს! იზოლდი ზედელაშვილს!

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, მაისი თქვენი თვეა:

ქალბატონო ლილი, დიდი მონატრებითა და სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო 80 წლისთავს.

ქალბატონო იზო, თქვენ კი 79 წელი შეგისრულდათ. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას თქვენს საამაყო და წარმატებულ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, რაც ჩვენთვისაც სასიხარულოა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდებმა და დაუოჯახებლებმა დავიწყეთ რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მუშაობა და ერთად გავლიეთ ოთხი ათეული წელი ტკბილ მწარე მოგონებებში. გვიხარია თქვენი არსებობა, გვენატრებით, გეფერებით და გვიყვარხართ.

ლია ფიროსმანაშვილი, ჟუჟუნა ჯაგაშვილი, ციური ბენაშვილი, ანგელინა ღორაშვილი.

იყიდება სახლი!

დედოფლისწყაროში, ტაბიძის ქუჩაზე იყიდება კერძო, ორსართულიანი სახლი, ეზოთი და ხეხილის ბაღით. **ფასი შეთანხმებით.**

ტელეფონი: 597 24 01 72 ნათია

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 01.06	სამშაბათი 02.06	ოთხშაბათი 03.06	ხუთშაბათი 04.06	პარასკევი 05.06	შაბათი 06.06	კვირა 07.06
დღე	27°	30°	30 °	30 °	30 °	29 °	27 °
ღამე	17 °	20 °	22 °	19 °	22 °	20 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.